

სს პანექსი

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს ფასს)**

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

31 დეკემბერი 2022

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	10
1 ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	11
2 კომპანიის საოპერაციო გარემო.....	11
3 მომზადების საფუძველი	12
4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
5 ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობის და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	17
6 ბალანსი და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	18
7 ძირითადი საშუალებები	19
8 მარაგები	20
9 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	20
10 ფული და ფულის ეკვივალენტები	21
11 სააქციო კაპიტალი	21
12 მიღებული სესხები	22
13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
14 შემოსავალი.....	24
15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	24
16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	25
17 გაუფასურების ზარალი.....	25
18 პირობითი ვალდებულებები	25
19 ფინანსური ინსტრუმენტები.....	26
20 მოვლენები ბალანსის თარიღის შემდგომ	27

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს პანექსის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედური სააღრიცხვო შეფასების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 07 დეკემბერს, 2023:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს პანექსის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედური სააღრიცხვო შეფასების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 07 დეკემბერს, 2023:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი





MOORE abc, LLC

2, D.Gamrekeli Street
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს პანექსის მენეჯმენტს და დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს პანექსის (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (მსს ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბურალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბურალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა, თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატრებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა, რადგან უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- დასკვნას ვიღებთ მენეჯმენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის უწყვეტი საქმიანობის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი გაურკვევლობა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, ჩვენ ვალდებული ვართ, აუდიტორის ანგარიშში ყურადღება მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებებს ან, თუ ასეთი განმარტებები არაადეკვატურია, დავამოდიფიციროთ ჩვენი აზრი. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულ იქნა ჩვენი აუდიტორული დასკვნის დღემდე. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ფუნქციონირებადი საწარმოს ლიკვიდაცია.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ მმართველობით პასუხისმგებელ პირებს ვუკავშირდებით აუდიტის დაგეგმილ ფარგლებზე, ვადებსა და აუდიტის მნიშვნელოვან აღმოჩენებზე, მათ შორის, შიდა კონტროლში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზებზე, რომლებიც გამოვავლინეთ ჩვენი აუდიტის პროცესში.

მიხეილ აბიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 07 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,098	6,722
გაცემული სესხები	6	7,990	3,081
არამატერიალური აქტივები		12	12
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,100	9,815
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	2,485	4,235
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	9	1,332	1,653
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	869	132
სულ მიმდინარე აქტივები		4,686	6,020
სულ აქტივები		18,786	15,835
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	7,927	7,927
საემისიო შემოსავალი		159	159
აკუმულირებული მოგება		2,859	2,016
სხვა რეზერვები		-	(4,318)
სულ კაპიტალი		10,945	5,784
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	4,740
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	4,740
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე სესხები	12	5,337	1,783
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	13	2,504	3,528
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,841	5,311
სულ ვალდებულებები		7,841	10,051
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,786	15,835

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2023 წლის 07 დეკემბერს:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი

სს პანელსი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება
ათას ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,098	6,722
გაცემული სესხები	6	7,990	3,081
არამატერიალური აქტივები		12	12
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,100	9,815
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	2,485	4,235
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	9	1,332	1,653
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	869	132
სულ მიმდინარე აქტივები		4,686	6,020
სულ აქტივები		18,786	15,835
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	7,927	7,927
საემისიო შემოსავალი		159	159
აკუმულირებული მოგება		2,859	2,016
სხვა რეზერვები		-	(4,318)
სულ კაპიტალი		10,945	5,784
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	4,740
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	4,740
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე სესხები	12	5,337	1,783
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	13	2,504	3,528
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,841	5,311
სულ ვალდებულებები		7,841	10,051
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,786	15,835

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2023 წლის 07 დეკემბერს:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი



სს პანელსი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება

ათას ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	14	18,503	19,165
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	(16,529)	(17,627)
საერთო შემოსავალი		1,974	1,538
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	29
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,754)	(1,475)
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	-
საოპერაციო შემოსავალი		220	92
ფინანსური შემოსავალი		92	167
ფინანსური ხარჯი		(185)	(454)
სავალუტო ზარალი/(მოგება), წმინდა		847	419
გაუფასურების ზარალი	17	(134)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		2	-
მოგება დაბეგვრამდე		843	224
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		843	224
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		843	224

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2023 წლის 07 დეკემბერს:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი

სს პანელსი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება
ათას ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	14	18,503	19,165
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	(16,529)	(17,627)
საერთო შემოსავალი		1,974	1,538
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	29
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,754)	(1,475)
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	-
საოპერაციო შემოსავალი		220	92
ფინანსური შემოსავალი		92	167
ფინანსური ხარჯი		(185)	(454)
სავალუტო ზარალი/(მოგება), წმინდა		847	419
გაუფასურების ზარალი	17	(134)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		2	-
მოგება დაბეგვრამდე		843	224
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		843	224
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		843	224

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2023 წლის 07 დეკემბერს:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		7,927	159	(8,412)	1,792	1,466
მიმდინარე წლის მოგება		-	-	-	224	224
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		-	-	-	224	224
ბანკიდან ერთობლივი სესხის დაფარვა		-	-	4,094	-	4,094
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	7,927	159	(4,318)	2,016	5,784
მიმდინარე წლის მოგება		-	-	-	843	843
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		-	-	-	843	843
ბანკიდან ერთობლივი სესხის დაფარვა		-	-	4,318	-	4,318
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	7,927	159	-	2,859	10,945

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2023 წლის 07 დეკემბერს:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი

სს პანელსი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება
ათას ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31						
დეკემბრის მდგომარეობით		7,927	159	(8,412)	1,792	1,466
მიმდინარე წლის მოგება		-	-	-	224	224
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		-	-	-	224	224
ბანკიდან ერთობლივი სესხის დაფარვა		-	-	4,094	-	4,094
ნაშთი 2021 წლის 31						
დეკემბრის მდგომარეობით	11	7,927	159	(4,318)	2,016	5,784
მიმდინარე წლის მოგება		-	-	-	843	843
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		-	-	-	843	843
ბანკიდან ერთობლივი სესხის დაფარვა		-	-	4,318	-	4,318
ნაშთი 2022 წლის 31						
დეკემბრის მდგომარეობით	11	7,927	159	-	2,859	10,945

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2023 წლის 07 დეკემბერს:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე:		843	224
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	133	277
საფინანსო ხარჯები		185	454
საფინანსო შემოსავალი		(92)	(167)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება		(197)	131
სავალუტო (მოგება) / ზარალი		(847)	(419)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე		24	500
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება			
სავაჭრო დებიტორული დავალიანების (ზრდა) / შემცირება		994	(568)
მარაგების შემცირება / (ზრდა)		1,751	(1,841)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდა / (შემცირება)		531	858
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული გადასახადამდე და პროცენტის ხარჯამდე		3,276	(1,551)
გადახდილი პროცენტი		44	8
მიღებული პროცენტი		(10)	(26)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული		3,334	(1,069)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(23)	(517)
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფული		(23)	(517)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსავლები სესხებიდან		4,786	5,639
სესხების დაფარვა		(6,991)	(4,401)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები		(337)	(857)
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დაფარვა		70	152
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფული		(2,472)	533
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(102)	(35)
ფული და ფულის აკვივალენტების წმინდა ზრდა		737	(1,089)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	10	132	1,220
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	10	869	132

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2023 წლის 07 დეკემბერს:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი

სს პანელსი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება
ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე:		843	224
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	133	277
საფინანსო ხარჯები		185	454
საფინანსო შემოსავალი		(92)	(167)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება		(197)	131
სავალუტო (მოგება) / ზარალი		(847)	(419)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე		24	500
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება			
სავაჭრო დებიტორული დავალიანების (ზრდა) / შემცირება		994	(568)
მარაგების შემცირება / (ზრდა)		1,751	(1,841)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდა / (შემცირება)		531	858
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული გადასახადამდე და პროცენტის ხარჯამდე		3,276	(1,551)
გადახდილი პროცენტი		44	8
მიღებული პროცენტი		(10)	(26)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული		3,334	(1,069)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(23)	(517)
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფული		(23)	(517)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსავლები სესხებიდან		4,786	5,639
სესხების დაფარვა		(6,991)	(4,401)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები		(337)	(857)
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დაფარვა		70	152
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფული		(2,472)	533
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(102)	(35)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		737	(1,089)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	10	132	1,220
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	10	869	132

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2023 წლის 07 დეკემბერს:

ზაზა მაჭარაშვილი

გენერალური დირექტორი



1 ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს პანექსი არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2014 წლის 18 მარტს ქართული რეგულაციების მიხედვით და ის რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 4050340911.

2011 წლის 18 მარტით დათარიღებული აქციონერთა ხელშეკრულების მიხედვით, შპს ICES-მა (საქართველოში დაარსებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) და სს პარტნიორთა ფონდმა (საქართველოში დაარსებული და მოქმედი სააქციო საზოგადოება) დააფუძნეს ერთობლივი საწარმო სს პანექსი. ხელშეკრულების მიხედვით, შპს ICES წარმოადგენს კომპანიის მთავარ აქციონერს ხოლო სს პარტნიორთა ფონდი შეძლებს აქციების მაქსიმუმ 49%-ის ფლობას.

2020 წლის 29 სექტემბერს შპს ICES-მა გამოისყიდა ყველა აქცია და გახდა სს პანექსის 100%-იანი აქციონერი. აქციების განახლებული განაწილება ოფიციალურად დარეგისტრირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააქციო რეესტრში 2020 წლის 28 დეკემბერს. გამოსყიდვა დაფინანსდა ბაზისბანკიდან ერთობლივი სესხით.

2022 წლის 19 ოქტომბერს შპს ICES-მა შპს DK Holding-ს მიყიდა სს პანექსის ყველა გამოშვებული აქცია. შპს ICES-ს ჰქონდა შპს DK Holding-ის ვალი 2 074 981 დოლარის ოდენობით. შესაბამისად, ეს თანხა გამოიქვითა აქციების მთლიანი ღირებულებიდან (4 633 149 დოლარი). ამავდროულად, შპს ICES-ს ჰქონდა სს პანექსის ვალი 2 558 168 დოლარი. შპს DK Holding-მა გადაიბარა ეს ვალი, შესაბამისად ეს თანხაც გამოიქვითა აქციების მთლიანი ღირებულებიდან.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია აწარმოებს და ყიდის ენერგოეფექტურ სამშენებლო მასალებს (პოლიუთერანი), კედლისა და სახურავის სენდვიჩ პანელებს და, ამავდროულად, სამონტაჟო მომსახურებას უწევს ადგილობრივ ბაზარზე არსებულ მომხმარებელს.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია ჭავჭავაძის გამზირი #48 / თაქთაქიშვილის ქუჩა #2, ბინა 43, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობის მისამართია რუსთავის გზატკეცილი, მე-17 კილომეტრი, საქართველო.

ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა საქართველოს ფარგლებშია. საქართველო ავლენს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალ ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

3 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის. ამასთან ერთად, საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან შეფასებების გაკეთებას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, რომლებიც მოითხოვს უფრო მაღალ შეფასებას ან სირთულეს, ან სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ის ძირითადი ვალუტა, რომელშიც ერთეული ოპერირებს. კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ანგარიშსწორებით მიღებული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი აქტივები უცხოურ ვალუტაში, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციები, კონვერტირებულია სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტი უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე, აღირიცხება როგორც სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალის ნაწილი.

2022 წლის 31 დეკემბერს, დოლარში არსებული ნაშთის კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2,7020 ლარი (2021: 1 აშშ დოლარი = 3,0976 ლარი) და 1 ევრო = 2,8844 (2021: 1 ევრო = 3,504 ლარი). შემოსავლებისა და ხარჯების კონვერტაციისათვის გამოყენებული საშუალო გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2,9156 ლარი (2021 წელი: 1 აშშ დოლარი = 3,2209 ლარი) და 1 ევრო = 3,0792 (2021: 1 ევრო = 3,814 ლარი). ამჟამად ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ უმეტეს ქვეყნებში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით და, საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ძირითადი საშუალებები მოიცავს აქტივებს სამომავლო გამოყენებისთვის.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

მოსალოდნელი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოხმარდება კომპანიას და აქტივის ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. რემონტისა და ყოველდღიური შენახვის ხარჯები გაწევის დროს წარმოიქმნება. ძირითადი საშუალების ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალოზაციო ღირებულება და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია პერიოდის მოგება-ზარალში. წინა პერიოდში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი, ამობრუნდება, თუ მოხდა ცვლილება შეფასებებში, რომლებიც გამოიყენება აქტივის გამოყენების ღირებულებას ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯების დასადგენად.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება მიღებული თანხის საბალანსო ღირებულებით და ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ არის ცვეთადი. ძირითადი საშუალებების სხვა კატეგორიებზე ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მათი ხარჯი განაწილდეს ნარჩენ ღირებულებებზე სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები**სასარგებლო მომსახურების ვადა**

შენობა 50

დანადგარები და აღჭურვილობა

2-35

ავეჯი და სხვა 2-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის მოსალოდნელი თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივის რეალიზაციით იმავე პერიოდში, რეალიზაციის მოსალოდნელი ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იყო გაცვეთილი და იმ მდგომარეობაში, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვის დროს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროებისამებრ, კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გაუფასურება. როდესაც ძირითადი საშუალების გადაფასება ტარდება აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება გადაფასებულ ღირებულებამდე მოცემული მეთოდის გამოყენებით: დაგროვილი ცვეთის თანხა აკლდება აქტივის პირვანდელ ღირებულებას.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს, ბანკებში შენახულ დეპოზიტებსა და სხვა მოკლევადიანი მაღალი ლიკვიდობის ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა წარმოადგენს არაუმეტეს სამ თვეს. შეზღუდული ფული არ არის შეტანილი ფულად სახსრების და ეკვივალენტებთან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის. ფულის და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში შედის ნაშთები, რომლებზეც არის გაცვლის შეზღუდვა ან რომლებიც გამოიყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. მარაგის ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. მზა პროდუქციის ღირებულება მოიცავს ნედლეულის, პირდაპირი შრომის, სხვა პირდაპირ ხარჯებს და მათთან დაკავშირებულ წარმოების ზედნაღებ დანახარჯებს (ნორმალური საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ბიზნესის ჩვეულ მდგომარეობაში ფუნქციონირების გათვალისწინებით, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯების სავარაუდო ღირებულების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის ფასით. ისინი შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს მიიღოს ყველა თანხა დებიტორული დავალიანების საწყისი პირობების მიხედვით.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები აღიარდება თავდაპირველი სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების ანარეცხები.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, შემოსავლებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა, როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიედინება ერთეულში და როდესაც დაკმაყოფილებულია კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

საქონლის რეალიზაცია საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები აღიარებულია საქონლის საკუთრებაში არსებული რისკებისა და სარგებელის გადაცემის დროს, ჩვეულებრივ, საქონლის გაგზავნისას. თუ კომპანია თანახმაა საქონლის გადაზიდვაზე მითითებულ ადგილას, შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს დანიშნულების ადგილზე.

გაყიდვები აღირიცხება დღგ-სა და ფასდაკლების გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. *მომსახურების გაწევა*, მომსახურების ღირებულება აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურებაა გაწეული, კონკრეტული ტრანზაქციის შესრულების ეტაპის მიხედვით რომელიც შეფასებულია ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე, როგორც მთლიანი მომსახურება.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მიღებული სესხები. სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საშემოსავლო გადასახი. საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლომდე ამოქმედებული ან არსებითად მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად.

